პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

საბაჟო საქმე;

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე

უმღელესი პროფესიული კვალიფიკაცია საბაჟო საქმეში /
Higher Vocational Qualification in Customs Study;

მიზანი

პროფესიული პროგრამის მიზანია, საბაჟო სფეროსთვის უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება. კერძოდ, საბაჟო საქმის სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს განახორციელოს საბაჟო საზღვრის კვეთასთან, საქონლის საბაჟო გაფორმებასთან, საბაჟო ზედამხედველობასთან, საბაჟო კონტროლის განხორციელებასთან, ასევე საბაჟო წარმომადგენლობასთან დაკავშირებული ამოცანები. პროგრამის მიზანია, მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც დაკისრებულ მოვალეობას შესრულებენ პროფესიული ეთიკის, შრომისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით. სპეციალისტები აღჭურვილი იქნებიან პროფესიული და ზოგადი/ტრანსფერული უნარებით.

დაშვების წინაპირობა/წინაპირობები

- სრული ზოგადი განათლება;

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

საბაჟო საქმეში უმღელესი პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს როგორც საჯარო (სსიპ – შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი), ისე კერძო სექტორში (საბროკერო, საკონსულტაციო, სავაჭრო, სამრეწველო, გადაზიდვით და ლოგისტიკური კომპანიები, დიპლომატიური დაწესებულებები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საბაჟო საწყობები და ტერმინალები). საჯარო სექტორში ის შეიძლება დასაქმდეს სასაზღვრო გამშვები პუნქტის ან საბაჟო გაფორმების საბაჟო ოფიცრად, ხოლო კერძო სექტორში - საბაჟო ბროკერად, საბაჟო დეკლარანტად, საბაჟო გაფორმების სპეციალისტად. ეს ფუნქციები შესაძლოა შერწყმულ იქნეს ლოგისტიკის სპეციალისტის, საბაჟო ტერმინალის მომსახურების განყოფილების სპეციალისტების ფუნქციებთან. კარიერული ზრდის თვალსაზრისით, კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია შემდგომ საფეხურებზე ბიზნესისა და ადმინისტრირების მიმართულებით.

სტრუქტურა და მოდულები:

პროფესიული პროგრამა „საბაჟო საქმე“ ითვალისწინებს 3 ზოგადი მოდულს - ჯამური 11 კრედიტის მოცულობით და 16 პროფესიულ მოდულს ჯამური 82 კრედიტის მოცულობით.

საბაჟო საქმის კვალიფიკაციის მისანიჭებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 93 კრედიტი, სწავლების ხანგრძლივობაა 18 თვე.

მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების აღწერა-სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- განახორციელოს საბაჟო ზედამხედველობა;
- გააკონტროლოს ფიზიკური პირი;
- გააკონტროლოს სატრანსპორტო საშუალებები;
- განსაზღვროს საქონლის წარმოშობის ქვეყანა და საბაჟო ღირებულება;
- განსაზღვროს საბაჟო პროცედურა/რეექსპორტი და გაუკეთოს ადმინისტრირება საბაჟო გადასახდელებს;
- განახორციელოს საბაჟო დეკლარირება;
- განახორციელოს საბაჟო გაფორმება;
- განახორციელოს სასაზღვრო საკარანტინო კონტროლი;
- განახორციელოს არასატარიფო ღონისძიებები;
- განახორციელოს საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოება.

კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები: 93 კრედიტი - ქართულენოვანი სტუდენტებისათვის; 123 კრედიტი - არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის.

პროფესიული პროგრამის განხორციელების ადგილი

პროგრამა განხორციელდება სარეგისტრაციო ბრანდის კოლეჯის ბაზაზე.

კოოპერაციული პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამა

აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:
აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება;

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე

საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულებაში
/ Secondary Vocational Qualification in Topography;

მიზანი

პროფესიული პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების სფეროსთვის კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება. პროგრამის საფუძველზე მომზადდებიან კადრები აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების მიმართულებით, რომლებიც შეძლებენ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად სხვადასხვა სირთულისა და ტიპის სამუშაოს შესრულებას.

დაშვების წინაპირობა/წინაპირობები

- სრული ზოგადი განათლება;

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულებაში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი შესაძლოა დასაქმდეს საჯარო რეესტრში, თავდაცვის სამინისტროსა და სხვა ძალოვან სტრუქტურებში, ასევე - სახელმწიფო ორგანიზაციებში, სამშენებლო და სააგრომომლო კომპანიებში ტოპოგეოდეზიური და კარტოგრაფიული სამუშაოების შესასრულებლად შემდეგ პოზიციებზე: აზომველ-გეოდეზისტი, კარტოგრაფი, ჰიდროგრაფიული ამგებმავი, ტოპოგრაფი, მიწის მზომელი, საკადასტრო აზომვების სპეციალისტი.

სტრუქტურა და მოდულები:

პროფესიული პროგრამა „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ ითვალისწინებს 5 ზოგადი მოდულს - ჯამური 15 კრედიტის მოცულობით და 15 პროფესიულ მოდულს ჯამური 75 კრედიტის მოცულობით.
აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულებაში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს 90 კრედიტი. სწავლების ხანგრძლივობაა 19 თვე.

მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების აღწერა-სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- დაამზადოს დეტალები ხელით მართვადი იარაღებით და ლითონსაჭრელი ჩარხებით;
- განახორციელოს კვანძის აწყობა;
- განახორციელოს ნაკეთის აწყობა და ექსპლუატაციაში გაშვება;
- უზრუნველყოს ტექნიკური სისტემის მომსახურება, რემონტი და სერვისი;
- განახორციელოს ტექნიკური სისტემის დაგეგმვა - რეალიზაცია;
- დაგეგმოს მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსის შესასრულებელი სამუშაოები.

კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები: 120 კრედიტი - ქართულენოვანი სტუდენტებისათვის; 150 კრედიტი - არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის;

პროფესიული პროგრამის განხორციელების ადგილი

პროგრამა განხორციელდება სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ბაზაზე.

**ინტეგრირებული
პროფესიული
საგანმანათლებლო
პროგრამები**



ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ლოკომოტივის და ძრავავაგონიანი მოძრავი შემადგენლობის ტექნიკური მომსახურება და რემონტი



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

ლოკომოტივის და ძრავავაგონიანი მოძრავი შემადგენლობის
ტექნიკური მომსახურება და რემონტი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულა ინგლისურ ენაზე

საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ლოკომოტივის და ძრავავაგონიანი მოძრავი შემადგენლობის ტექნიკურ მომსახურებასა და რემონტში; Secondary Vocational Qualification in Locomotive and Multiple Unit Maintenance and Repair.

მიზანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია უზრუნველყოს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება.

დაშვების წინაპირობა/წინაპირობები

- საბაზო განათლება

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

ლოკომოტივის და ძრავავაგონიანი მოძრავი შემადგენლობის ტექნიკური მომსახურების და რემონტის ზეინკალს შეუძლია დასაქმდეს რკინიგზის სალოკომოტივო დეპოებში, ტექნიკური მომსახურების პუნქტებში, მეტროპოლიტენში, ლოკომოტივების მშენებელ და რემონტის ქარხნებში.

სტრუქტურა და მოდულები

ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 2 ზოგად მოდულს 7 კრედიტის ოდენობით, 6 ინტეგრირებულ მოდულს 30 კრედიტის ოდენობით და 18 პროფესიულ მოდულს ჯამური 77 კრედიტის მოცულობით. კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 114 კრედიტი. სწავლების ხანგრძლივობაა 21 თვე.

მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების აღწერა-სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. გამოხაზოს დეტალები და სქემები ზომებსა და მასშტაბში;
2. გაიანგარიშოს ელექტრომონტაჟობებისა და დანადგარების ძირითადი პარამეტრები;
3. უზრუნველყოს უსაფრთხო სამუშაო გარემო სარკინიგზო ტრანსპორტის ობიექტებზე მუშაობისას;
4. შეასრულოს საბენიკლო სამუშაოები;
5. შეამოწმოს/შეაკეთოს მოძრავი შემადგენლობის მექანიკური ნაწილი;
6. შეამოწმოს/შეაკეთოს მოძრავი შემადგენლობის წვეის ძრავა და დამხმარე მანქანები;
7. შეამოწმოს/შეაკეთოს პნევმატურ-სამუხრუჭე მოწყობილობების კვების სისტემა;
8. შეამოწმოს/შეაკეთოს პნევმატურ-სამუხრუჭე სისტემა;
9. შეამოწმოს/შეაკეთოს სახორავზე განთავსებული ელექტრო და სხვა მოწყობილობები;
10. შეამოწმოს/შეაკეთოს მოძრავი შემადგენლობის მაღალი ძაბვის აპარატურა;
11. შეამოწმოს/შეაკეთოს მოძრავი შემადგენლობის დაბალი ძაბვის აპარატურა;
12. შეამოწმოს/შეაკეთოს მოძრავი შემადგენლობის დიზელის ძრავა და ჰიდრომექანიკური რედექტორი;
13. შეამოწმოს/შეაკეთოს მოძრავი შემადგენლობის ძირითადი აგრეგატები და დიზელ-გენერატორი;
14. გამოიყენოს მაღალი და დაბალი ძაბვის აპარატურის და სალოკომოტივო სიგნალიზაციის სქემები.

კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ინტეგრირებული მოდულების გავლის შემთხვევაში 114 კრედიტი - ქართულენოვანი სტუდენტებისათვის, 144 კრედიტი - არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის. კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

პროფესიული პროგრამის განხორციელების ადგილი

პროგრამა განხორციელდება სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის და სს „საქართველოს რკინიგზის“ ბაზაზე.

ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:
რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულა ინგლისურ ენაზე
საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობაში;
Secondary Vocational Qualification in Mechanics of power supply of railways;



მიზანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია უზრუნველყოს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება.

დაშვების წინაპირობა/წინაპირობები

- საბაზო განათლება

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის ელექტრომექანიკოსს შეუძლია დასაქმდეს ელექტრო სადგურებში, წვეისა და სატრანსფორმატორო ქვესადგურებში, ინდუსტრიულ საწარმოებში, კერძო სექტორში, რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობაში.

სტრუქტურა და მოდულები

ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 2 ზოგად მოდულს 7 კრედიტის ოდენობით, 6 ინტეგრირებულ მოდულს 30 კრედიტის ოდენობით და 15 პროფესიულ მოდულს ჯამური 79 კრედიტის მოცულობით. კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 116 კრედიტი. სწავლის ხანგრძლივობაა 21 თვე.

მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების აღწერა-სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. უზრუნველყოს სარკინიგზო ტრანსპორტზე უსაფრთხო სამუშაო გარემო;
2. ჩაატაროს რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის სამუშაო გარემოს ორგანიზაციული და ტექნიკური ღონისძიებები;
3. გაზომოს ელექტრომომარაგების მონყობილობა - დანადგარების და დამცავი საშუალებების ელექტრული, მექანიკური და გეომეტრიული პარამეტრები;
4. გაუწიოს რკინიგზის ელექტრომომარაგების მონყობილობა - დანადგარებს ტექნიკური მომსახურება;
5. ჩაატაროს რკინიგზის ელექტრომომარაგების მონყობილობა - დანადგარების მიმდინარე რემონტი;
6. ჩაატაროს რკინიგზის ელექტრომომარაგების მონყობილობა - დანადგარების კაპიტალური რემონტი.

კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ინტეგრირებული მოდულების გავლის შემთხვევაში 116 კრედიტი - ქართულენოვანი სტუდენტებისათვის, 146 კრედიტი - არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის.

კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

პროფესიული პროგრამის განხორციელების ადგილი

პროგრამა განხორციელდება სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის და სს „საქართველოს რკინიგზის“ ბაზაზე.

ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

სარელსო დეფექტოსკოპია



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:
სარელსო დეფექტოსკოპია

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულად ინგლისურ ენაზე
საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სარელსო დეფექტოსკოპიაში;
Secondary Vocational Qualification in Locomotive and Rail flaw detection.

მიზანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია უზრუნველყოს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება.

დაშვების წინაპირობა/წინაპირობები

- საბაზო განათლება.

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

სარელსო დეფექტოსკოპისტს შეუძლია დასაქმდეს კერძო და საჯარო სექტორში: სარკინიგზო, საქალაქო და სამრეწველო სარელსო ტრანსპორტის მიმართულებით. სამუშაო გარემო ღია და დახურულ (გვირაბი, მეტროპოლიტენი) სივრცეში ნებისმიერ კლიმატურ პირობებში. სარელსო დეფექტოსკოპისტი არის სპეციალისტი, რომელსაც უნდა შეეძლოს ლიანდაგში პოტენციურად საშიში სარელსო დეფექტების დროულად გამოვლენა სარელსო დეფექტოსკოპური საშუალებებით, გამოვლენილი სარელსო დეფექტების დეტალური გამოკვლევა და მათი კლასიფიკაცია, დეფექტების განვითარების კონტროლი, მათი რეგისტრაცია და აუცილებლობის შემთხვევაში ზომების მიღება მატარებლების უსაფრთხო და უწყვეტი მოძრაობის უზრუნველსაყოფად. დეფექტოსკოპური საშუალებების ტექნიკური მომსახურება და შეკეთება.

სტრუქტურა და მოდულები

ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 2 ზოგად მოდულს 7 კრედიტის ოდენობით, 6 ინტეგრირებულ მოდულს 30 კრედიტის ოდენობით და 13 პროფესიულ მოდულს ჯამური 77 კრედიტის მოცულობით. კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 114 კრედიტი. სწავლების ხანგრძლივობაა 21 თვე.

მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების აღწერა-სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. უზრუნველყოს უსაფრთხო გარემო რკინიგზის ლიანდაგზე დეფექტოსკოპიის წარმოებისთვის;
2. უზრუნველყოს ლიანდაგის მონიტორინგი-ინსპექტირება;
3. ვიზუალურად გამოავლინოს დეფექტები ლიანდაგის ზედა ნაშენის ელემენტებში;
4. მოახდინოს სარელსო დეფექტოსკოპისტის სამუშაო პროცესის ადგილის ორგანიზება;
5. გამოავლინოს რელსების და ისრული გადაწყვანის ლითონის ელემენტების დეფექტები;
6. გამოავლინოს დეფექტები რელსებში;
7. მოახდინოს ულტრაბერითი სარელსო დეფექტოსკოპების მომსახურება და შეკეთება;
8. ნაიტობის ნახაზები და სქემები.

კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ინტეგრირებული მოდულების გავლის შემთხვევაში 114 კრედიტი - ქართულენოვანი სტუდენტებისათვის, 144 კრედიტი - არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის. კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

პროფესიული პროგრამის განხორციელების ადგილი

პროგრამა განხორციელდება სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის და სს „საქართველოს რკინიგზის“ ბაზაზე.

რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულად ინგლისურ ენაზე

საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობაში;

Secondary Vocational Qualification in Railroad track construction

მიზანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია უზრუნველყოს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება.

დაშვების წინაპირობა/წინაპირობები

- საბაზო განათლება

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

რკინიგზის ლიანდაგის მშენებელს შეუძლია დასაქმდეს კერძო და საჯარო სექტორში, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებული იქნება რკინიგზების მშენებლობასთან, რეკონსტრუქციასა და ექსპლუატაციასთან.

სტრუქტურა და მოდულები

ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 2 ზოგად მოდულს 7 კრედიტის ოდენობით, 6 ინტეგრირებულ მოდულს 30 კრედიტის ოდენობით და 13 პროფესიულ მოდულს ჯამური 77 კრედიტის მოცულობით. კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 114 კრედიტი. სწავლების ხანგრძლივობაა 21 თვე.

მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების აღწერა-სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. აწარმოოს რკინიგზის ლიანდაგის სამშენებლო სამუშაოები;
2. აწარმოოს რკინიგზის ლიანდაგის შეკეთებისა და მოვლა-შენახვის სამუშაოები;
3. შეარჩიოს სალიანდაგო მექანიზმები, ხელსაწყო-იარაღები და მასალები;
4. შეამოწმოს სალიანდაგო მექანიზმების და სამუშაო იარაღების გამართულობა;
5. შემოფარგლოს სასიგნალო ნიშნებით სამუშაოთა წარმოების ადგილი;
6. აწარმოოს მიწის ვაკისისა და ხელოვნური ნაგებობების მოვლა-შენახვის სამუშაოები;
7. გაასწოროს გრძიდ პროფილსა და თარაზოში ლიანდაგი და ისრული გადამყვანი;
8. გაასწოროს გეგმაში ლიანდაგი (რეხტირება);
9. გაასწოროს ნაბურცვანი ლიანდაგი;
10. დაარეგულიროს ლიანდაგის სიგანე და საპირაპირო ღრეჩოები;
11. განმინდოს თოვლისაგან ლიანდაგი და ისრული გადამყვანი;
12. შეცვალოს ლიანდაგის ზედა ნაშენისა და ისრული გადამყვანის ელემენტები;
13. გადააწვოს მაიზოლირებელი პირაპირების კვანძები;
14. დააგოს ლიანდაგი;
15. განმუხტოს ტემპერატურული დაძაბულობა უპირაპირო ლიანდაგის სარელსო წნელებში;
16. დაათვალიეროს რელსების, სამაგრების, შპალების, ბალასტის, ისრული გადამყვანის, სარკინიგზო გადასავალის, სასიგნალო და სალიანდაგო ნიშნების, მიწის ვაკისის, ხელოვნური ნაგებობების და გასხვიების ზოლის მდგომარეობა.

კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ინტეგრირებული მოდულების გავლის შემთხვევაში 114 კრედიტი - ქართულენოვანი სტუდენტებისათვის, 144 კრედიტი - არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის.

კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

პროფესიული პროგრამის განხორციელების ადგილი

პროგრამა განხორციელდება სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის და სს „საქართველოს რკინიგზის“ ბაზაზე.

ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების ელექტრომექანიკა



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების ელექტრომექანიკა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულა ინგლისურ ენაზე

საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების ელექტრომექანიკაში ;
Secondary Vocational Qualification in Electromechanics of signalling, centralization and blocking up;

მიზანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია უზრუნველყოს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება.

დაშვების წინაპირობა/წინაპირობები

- საბაზო განათლება

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების ელექტრომექანიკოსის შეუძლია დასაქმდეს ელექტრომექანიკოსად როგორც მინისზედა ასევე მინისქვეშა რკინიგზის სცბ-ს სამსახურში, სადაც საქმიანობას ახორციელებს ღია ცის ქვეშ, შენობებში და ოფისში. აგრეთვე, ნებისმიერ სამრეწველო, საქალაქო, კავშირგაბმულობის, სოფლის მეურნეობის ობიექტებზე; ელექტრომონტიორად ნებისმიერ საწარმოში; გააჩნია თვითდასაქმების შესაძლებლობაც.

სტრუქტურა და მოდულები

ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 2 ზოგად მოდულს 7 კრედიტის ოდენობით, 6 ინტეგრირებულ მოდულს 30 კრედიტის ოდენობით და 18 პროფესიულ მოდულს ჯამური 77 კრედიტის მოცულობით. კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 114 კრედიტი. სწავლების ხანგრძლივობაა 21 თვე.

მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების აღწერა-სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. შეასრულოს საზეინკლო ოპერაციები
2. უზრუნველყოს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში სარკინიგზო ტრანსპორტზე უსაფრთხო სამუშაო გარემო
3. წაიკითხოს ნახაზები და სქემები;
4. დაგეგმოს რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების სპეციალისტის სამუშაო პროცესი;
5. გამოიყენოს რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების მოწყობილობებში მიკროპროცესორული, ელექტრონული და ელექტრული ტექნიკა;
6. შეასრულოს რკინიგზის ტრანსპორტზე საგადასარბენო სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების მოწყობილობებისა და სისტემების ტექნიკური მომსახურება და რემონტი;
7. შეასრულოს რკინიგზის ტრანსპორტზე სასადგურო სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების მოწყობილობებისა და სისტემების ტექნიკური მომსახურება და რემონტი;
8. შეასრულოს რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების მოწყობილობებისა და სისტემების მონტაჟი;
9. მოახდინოს რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების მოწყობილობათა მტყუნებელათა აღმოფხვრა.

კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ინტეგრირებული მოდულების გავლის შემთხვევაში 114 კრედიტი - ქართულენოვანი სტუდენტებისათვის, 144 კრედიტი - არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის.
კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

პროფესიული პროგრამის განხორციელების ადგილი

პროგრამა განხორციელდება სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის და სს „საქართველოს რკინიგზის“ ბაზაზე.

ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

საწყობის ოპერირება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:
„საწყობის ოპერირება“.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე

საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საწყობის ოპერირებაში/
Secondary Vocational Qualification in Warehousing.

მიზანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, სასაწყობო მეურნეობებისთვის მომზადოს კონკურენტუნარიანი ოპერირების სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს სასაწყობო ოპერაციების კვალიფიციურად შესრულებას როგორც ინდივიდუალურად, ისე გუნდურად, პროფესიული ეთიკის, შრომისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

დაშვების წინაპირობა/წინაპირობები

- სრული ზოგადი განათლება;
- საბაზო განათლება - იმ შემთხვევაში თუ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

კურსდამთავრებული შესაძლებელია დასაქმდეს: საბაჟო, კომერციულ, საავტომობილო, სუპერმარკეტისა და მაგივარ-საწყობებში, ასევე სავაჭრო კომპანიებში, რომლებიც ფლობენ საკუთარ საწყობებს, დისპეტჩერის, მარაგების და სათავსოსთანამშრომლის ან ტვირთის ამწვის თანადეგობაზე.

სტრუქტურა და მოდულები:

ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის:

ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 2 ზოგად მოდულს 7 კრედიტის ოდენობით, 6 ინტეგრირებულ მოდულს 30 კრედიტის ოდენობით და 8 პროფესიულ მოდულს ჯამური 81 კრედიტის მოცულობით.

კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 118 კრედიტი, სწავლების ხანგრძლივობაა 22 თვე.

მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების აღწერა-სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- აღწეროს საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა და საწყობის ოპერაციები;
- აღწეროს სასაწყობო ოპერაციებთან დაკავშირებული კანონმდებლობა და უსაფრთხოების ნორმები;
- მიიღოს საქონელი საწყობში;
- განახორციელოს საქონლის ტრანსპორტირება საწყობში;
- დაასაწყობოს საქონელი;
- ააგროვოს საქონელი;
- გასცეს საქონელი საწყობიდან;
- აღრიცხოს საქონელი საწყობში.

კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები. პროფესიულმა სტუდენტმა კვალიფიკაციის მინიჭებისთვის მონაწილეობა უნდა მიიღოს შეუღებულ შეფასებაში და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.

პროფესიული პროგრამის განხორციელების ადგილი

პროგრამა განხორციელდება სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის, სს „საქართველოს რკინიგზის“ და სს „გუდვილის“ ბაზაზე.



ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

სავაგონო მეურნეობა



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:
სავაგონო მეურნეობა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულა ინგლისურ ენაზე
საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სავაგონო მეურნეობაში;
Secondary Vocational Qualification in Railway Car Maintenance

მიზანი
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია უზრუნველყოს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება.

დაშვების წინაპირობა/წინაპირობები
• საბაზო განათლება

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები
სავაგონო მეურნეობის მექანიკოსს შეუძლია დასაქმდეს: რკინიგზის სამგზავრო და სავაგონო მეურნეობის დეპოებში, მიმდინარე-ახსნითი შეკეთების საამქროებში, ტექნიკური მომსახურეობის პუნქტებში, ვაგონმშენებელი და/ან ვაგონმშეკეთებელი ქარხნებში, მეტროპოლიტენის ვაგონსარემონტო საწარმოებში.

სტრუქტურა და მოდულები
ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 2 ზოგად მოდულს 7 კრედიტის ოდენობით, 6 ინტეგრირებულ მოდულს 30 კრედიტის ოდენობით და 15 პროფესიულ მოდულს ჯამური 77 კრედიტის მოცულობით. კვალიფიკაციის მიანიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 114 კრედიტი. სწავლების ხანგრძლივობაა 21 თვე.

მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების აღწერა-სწავლის შედეგები
კურსდამთავრებულს შეუძლია:


1. გამოსაზოს დეტალები და სქემები ზომებსა და მასშტაბში;
2. გაიანგარიშოს ელექტრომონტაჟილობებისა და დანადგარების ძირითადი პარამეტრები;
3. უზრუნველყოს უსაფრთხო სამუშაო გარემო სარკინიგზო ტრანსპორტის ობიექტებზე მუშაობისას;
4. შეასრულოს საზეინკლო სამუშაოები;
5. შეამონმოს/შეაკეთოს რეფრიჟერატორული მოძრავი შემადგენლობა;
6. შეამონმოს/შეაკეთოს სატვირთო ვაგონის სავალი ნაწილები;
7. შეამონმოს/შეაკეთოს სამგზავრო ვაგონის სავალი ნაწილები;
8. შეამონმოს/შეაკეთოს ვაგონის ძარის და დამრტყმელ-საწევი მოწყობილობები;
9. შეამონმოს/შეაკეთოს სამხსრუტე მომწყობილობები;
10. შეამონმოს/შეაკეთოს სამგზავრო ვაგონების შიდა მოწყობილობები;
11. შეამონმოს/შეაკეთოს სამგზავრო ვაგონების ელექტროდანადგარები და ელექტრომონტაჟილობები.

კვალიფიკაციის მინიჭება
კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ინტეგრირებული მოდულების გავლის შემთხვევაში 114 კრედიტი - ქართულენოვანი სტუდენტებისათვის, 144 კრედიტი - არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის.
კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

პროფესიული პროგრამის განხორციელების ადგილი
პროგრამა განხორციელდება სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის და სს „საქართველოს რკინიგზის“ ბაზაზე.

ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

სარკინიგზო გადაზიდვები



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:
სარკინიგზო გადაზიდვები

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულა ინგლისურ ენაზე
საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სარკინიგზო გადაზიდვებში;
Secondary Vocational Qualification in Railway freight

მიზანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია უზრუნველყოს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება.

დაშვების წინაპირობა/წინაპირობები

- საბაზო განათლება

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

დასაქმების შესაძლებლობები - სარკინიგზო გადაზიდვების სპეციალისტის შეუძლია დასაქმდეს რკინიგზის სადგურის ტერიტორიაზე (ოფისი ან/და ღია ცის ქვეშ). სამრეწველო ორგანიზაციებში რომლებსაც გააჩნიათ სარკინიგზო მისასვლელი (პორტები, ფაბრიკა ქარხნები და სხვა).

სტრუქტურა და მოდულები

ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 2 ზოგად მოდულს 7 კრედიტის ოდენობით, 6 ინტეგრირებულ მოდულს 30 კრედიტის ოდენობით და 14 პროფესიულ მოდულს ჯამური 77 კრედიტის მოცულობით. კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 114 კრედიტი. სწავლების ხანგრძლივობაა 21 თვე.

მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების აღწერა-სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. უზრუნველყოს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში სარკინიგზო ტრანსპორტზე უსაფრთხო სამუშაო გარემო;
2. ნაიკითხოს ნახაზები და სქემები;
3. დაგეგმოს სარკინიგზო გადაზიდვის სამუშაო პროცესი;
4. შეასრულოს რკინიგზით ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული ოპერაციები;
5. მიიღოს მონაწილეობა მატარებლის სადგურში მიღება-გაგზავნის პროცესში;
6. მიიღოს მონაწილეობა რკინიგზის ტრანსპორტზე სატვირთო და კომერციული მუშაობის ორგანიზაციაში;
7. მიიღოს მონაწილეობა სადგურში სამანევრო მუშაობის ორგანიზებაში.

კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ინტეგრირებული მოდულების გავლის შემთხვევაში 114 კრედიტი - ქართულენოვანი სტუდენტებისათვის, 144 კრედიტი - არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის.
კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

პროფესიული პროგრამის განხორციელების ადგილი

პროგრამა განხორციელდება სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის და სს „საქართველოს რკინიგზის“ ბაზაზე.

ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ტვირთების ექსპედიტორება

RTC სარკინიგზო
ტრანსპორტის
კოლუზი



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

“ტვირთების ექსპედიტორება”

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე

საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ტვირთების ექსპედიტორებაში/

Secondary Vocational Qualification in Freight forwarding.

მიზანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, სატვირთო გადაზიდვების სფეროსთვის მოამზადოს კონკურენტუნარიანი კადრი, რომელსაც შეეძლება სატრანსპორტო დოკუმენტაციის შევსება; სატვირთო გადაზიდვების დაგეგმვა; ტრანსპორტის სახეობის აღწერა და შესაბამისი ტრანსპორტის სახის შერჩევა; გუნდური მუშაობა; გადაზიდვების ზედამხედველობა, მონიტორინგი და შეფასება; შეკვეთის გაფორმება; ტვირთის ჩატვირთვა/გადმოტვირთვის ორგანიზება და დაკისრებულ მოვალეობას შეასრულებს პროფესიული ეთიკის, შრომისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით. ამასთან, კურსდამთავრებულები აღჭურვილნი იქნებიან პროფესიული და ზოგადი/ტრანსფერული უნარებით.

დაშვების წინაპირობა/წინაპირობები

- სრული ზოგადი განათლება;
- საბაზო განათლება - იმ შემთხვევაში თუ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

დასაქმების შესაძლებლობებია: ტვირთების გადაზიდვაში ექსპედიტორული და სატრანსპორტო-ლოგისტიკური ფირმები, საბაჟო-სატრანსპორტო მომსახურების საწარმოები, სატრანსპორტო-ლოგისტიკური ასოციაციები, სხვადასხვა დონის სავაჭრო-ლოგისტიკური კომპლექსები, სავაჭრო-შემოსილველი და საშუაშალო ფირმები, მზა პროდუქციის მსხვილი სადისტრიბუტორო ფირმები, გამანაწილებელი და ლოგისტიკური ცენტრები, საბაჟო ტერმინალური კომპლექსები, საშუაშალო ფირმები.

სტრუქტურა და მოდულები:

ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის: ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 2 ზოგად მოდულს 7 კრედიტის ოდენობით, 6 ინტეგრირებულ მოდულს 30 კრედიტის ოდენობით და 7 პროფესიულ მოდულს ჯამური 81 კრედიტის მოცულობით. კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 118 კრედიტი, სწავლების ხანგრძლივობაა 22 თვე.

მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების აღწერა-სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- აღწეროს ექსპედიტორების საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა და ოპერაციები;
- აღწეროს ტვირთების ექსპედიტორებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა და რეგულაციები;
- დაგეგმოს სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობა;
- მოამზადოს სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო დოკუმენტაცია;
- განახორციელოს სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობა;
- აკონტროლოს ტვირთის გადაზიდვა;
- აკონტროლოს სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის ხარისხი.

კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები. პროფესიულმა სტუდენტმა კვალიფიკაციის მინიჭებისთვის მონაწილეობა უნდა მიიღოს შუალედურ შეფასებაში და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.

პროფესიული პროგრამის განხორციელების ადგილი

პროგრამა განხორციელდება სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის, სს „საქართველოს რკინიგზის“ და სს „გუდვილის“ ბაზაზე.

ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ლოკომოტივის მართვა



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

„ლოკომოტივის მართვა“

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე

საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ლოკომოტივის მართვაში/

Secondary Vocational Qualification in Locomotive operating;

მიზანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სარკინიგზო ინდუსტრიის საერთაშორისო და ადგილობრივი რეგულაციების შესაბამისად ლოკომოტივის მართვის სპეციალისტის მომზადება.

დაშვების წინაპირობა/წინაპირობები

- სრული ზოგადი განათლება;
- საბაზო განათლება - იმ შემთხვევაში თუ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

ლოკომოტივის მემანქანე შეიძლება დასაქმდეს მაგისტრალურ რკინიგზაზე, მეტროპოლიტენში, სამრეწველო რკინიგზებზე: ქარხანაში, მახტასა და ნებისმიერ დაწესებულებაში, სადაც ტვირთების შიდა გადაზიდვებისთვის იყენებენ რკინიგზის ლიანდაგს.

სტრუქტურა და მოდულები:

ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 2 ზოგად მოდულს 6 კრედიტის ოდენობით, 6 ინტეგრირებულ მოდულს 30 კრედიტის ოდენობით და 14 პროფესიულ მოდულს ჯამური 77 კრედიტის მოცულობით. კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 113 კრედიტი.

კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 113 კრედიტი, სწავლების ხანგრძლივობაა 21 თვე.

მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების აღწერა-სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- იმუშავოს ლითონურ და არამეტალურ მასალებთან, შეასრულოს საბეინკლო ოპერაციები;
- უზრუნველყოს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში სარკინიგზო ტრანსპორტზე უსაფრთხო სამუშაო გარემო;
- ნაიკითხოს ნახაზები და სქემები;
- დაგეგმოს ლოკომოტივის მემანქანის სამუშაო პროცესი;
- გამართოს მოძრავი შემადგენლობის მაღალი, დაბალი ძაბვისა და პნევმატური მოწყობილობების სქემები;
- ჩაატაროს ლოკომოტივის და ძრავაგაგონიანი მოძრავი შემადგენლობის ტექნიკური დათვალიერება;
- შეასრულოს მატარებელთან ჩადგომა/გამზადება/ახსნა;
- მართოს ლოკომოტივი და ძრავაგაგონიანი შემადგენლობა;
- შემონმოს/ნაწილობრივ შეაკეთოს ლოკომოტივი და ძრავაგაგონიანი შემადგენლობა.

კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები: 90 კრედიტი - ქართულენოვანი სტუდენტებისათვის; 120 კრედიტი - არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ინტეგრირებული მოდულების გავლის შემთხვევაში 113 კრედიტი - ქართულენოვანი სტუდენტებისათვის; 143 კრედიტი - არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის. პროფესიულმა სტუდენტმა კვალიფიკაციის მინიჭებისთვის უნდა ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.

პროფესიული პროგრამის განხორციელების ადგილი

პროგრამა განხორციელდება სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისა და სს საქართველოს რკინიგზის ბაზაზე.

ინტეგრირებული პროფესიული

საგანმანათლებლო

პროგრამა

აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება;

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე

საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულებაში

/ Secondary Vocational Qualification in Topography;

მიზანი

პროფესიული პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების სფეროსთვის კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება. პროგრამის საფუძველზე მომზადდებიან კადრები აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების მიმართულებით, რომლებიც შეძლებენ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად სხვადასხვა სირთულისა და ტიპის სამუშაოს შესრულებას.

დაშვების წინაპირობა/წინაპირობები

- საბაზო განათლება;

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულებაში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი შესაძლოა დასაქმდეს საჯარო რეესტრში, თავდაცვის სამინისტროსა და სხვა ძალოვან სტრუქტურებში, ასევე - სახელმწიფო ორგანიზაციებში, სამშენებლო და საამბოშველო კომპანიებში ტოპოგოდეზიური და კარტოგრაფიული სამუშაოების შესასრულებლად შემდეგ პოზიციებზე: ამზომველ-გეოდეზისტი, კარტოგრაფი, ჰიდროგრაფიული ამგებმაგი, ტოპოგრაფი, მინის მზომელი, საკადასტრო ამომველის სპეციალისტი.

სტრუქტურა და მოდულები:

ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 2 ზოგად მოდულს 8 კრედიტის ოდენობით, 6 ინტეგრირებულ მოდულს 30 კრედიტის ოდენობით და 15 პროფესიულ მოდულს ჯამური 75 კრედიტის მოცულობით. კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 113 კრედიტი. სწავლების ხანგრძლივობაა 24 თვე.

მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების აღწერა-სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- დამაზადოს დეტალები ხელით მართვადი იარაღებით და ლითონსაჭრელი ჩარხებით;
- განახორციელოს კვანძის აწყობა;
- განახორციელოს ნაკეთის აწყობა და ექსპლუატაციაში გაშვება;
- უზრუნველყოს ტექნიკური სისტემის მომსახურება, რემონტი და სერვისი;
- განახორციელოს ტექნიკური სისტემის დაგეგმვა - რეალიზაცია;
- დაგეგმოს მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსის შესასრულებელი სამუშაოები.

კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ინტეგრირებული მოდულების გავლის შემთხვევაში 113 კრედიტი - ქართულენოვანი სტუდენტებისათვის, 143 კრედიტი - არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის.

პროფესიული პროგრამის განხორციელების ადგილი

პროგრამა განხორციელდება სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ბაზაზე.

**ა(ა)იკ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე
სწავლა
სრულად ფინანსდება
სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ვაუჩერული
დაფინანსების ფარგლებში.**



მოკლევადიანი პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამები

მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამები:

- ტექნიკური ნახაზების მხაზველი;
- გეოდეზიური სამუშაოების შესრულება
- ელექტრო-აირ შემდუღებელი;
- პლასტმასის შემდუღებელი;
- ვაგონების მსინჯველ-შემკეთებელი;
- ლიანდაგის სპეციალისტი;
- რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის ტექნიკოსი;
- ლითონდამამუშავებელი ჩარხების მართვა;
- მატარებლის შემდგენელი;
- სანყოფის ლოგისტიკის სპეციალისტი;
- ტვირთების გადაზიდვის კონტროლის სპეციალისტი;
- ნარჩენების მართვის სპეციალისტი;
- დასაქმებულების დაცვა პროფესიული დაავადებებისაგან;
- ტრანსპორტის უსაფრთხოების კონტროლი;
- გარემოსდაცვითი მმართველი;
- სახანძრო და ელექტრო უსაფრთხოება;
- სატრანსპორტო დოკუმენტაციის სპეციალისტი.
- სასანყოფო ოპერაციების უსაფრთხოება;

მოკლევადიანი პროფესიული გადამზადების პროგრამები:

- არგონ-რკალური შემდუღებელი;
- ლიფტების ტექნიკური მომსახურება და რემონტი;
- ლიანდაგის დეფექტოსკოპისტი;
- სადგურის მორიგე;
- სადგურის დისპეტჩერი;
- რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირების მიკროპროცესორული ტექნიკის სპეციალისტი;
- სარკინიგზო ტრანსპორტის ლოკომოტივის მემანქანე;
- სარკინიგზო ტრანსპორტის ლოკომოტივის მემანქანის თანაშემწე;

მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამა ტექნიკური ნახაზების მხაზველი

პროგრამის სახელწოდება:

ტექნიკური ნახაზების მხაზველი;

პროგრამის სახე:

პროფესიული მომზადება;

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში:

9 კვირა.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

საბაზო განათლება;

პროგრამის მიზნები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია არქიტექტურული, სამშენებლო და კონსტრუქციული ნახაზების აგების პროცესის აღწერა, ნახაზების რედაქტირება, ნახაზების ანოტირება, სახვადასხვა ტიპის ფაილის გამოყენება და საპროექტო დოკუმენტაციის ფორმირება საინჟინრო კომპიუტერული გრაფიკა „AutoCad“-ის პროგრამის გამოყენებით.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)

- გეომეტრიული ფიგურების ორთოგონალური გეგმილების დახასიათება;
- გეგმილური ნახაზის აგება;
- ნახაზის აგების პროცესის აღწერა;
- ნახაზის რედაქტირება;
- ნახაზის ანოტირება, სტილების შექმნა;
- ფაილებზე სხვადასხვა სახის მოქმედებები;
- საპროექტო დოკუმენტაციის ფორმირება.

პროგრამის მოკლე აღწერა:

ტექნიკური ნახაზების მხაზველის ძირითადი მოვალეობაა შესრულოს საინჟინრო ნახაზი და შეადგინოს საპროექტო ტექნიკური დოკუმენტაცია კომპიუტერული პროგრამა „AutoCad“-ის გამოყენებით.

მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამა გეოდეზიური სამუშაოების შესრულება

პროგრამის სახელწოდება:

გეოდეზიური სამუშაოების შესრულება

პროგრამის სახე:

პროფესიული მომზადება;

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში:

8 კვირა;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- სრული ზოგადი განათლება;

პროგრამის მიზნები:

მომზადოს მსმენელი გეოდეზისტის უნარების შესაძენად და აზომვითი სამუშაოების შესასრულებლად.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით):

- გეომეტრიული ფიგურების ორთოგონალური გეგმილების დახასიათება.
- გეგმილური ნახაზის აგება
- მარტივი სამშენებლო ნახაზის აგება
- ტოპოგრაფიული რუკების და გეგმების კითხვა.
- ტრასის დაკვაღვა ინსტრუმენტებს გამოყენებით.
- გეომეტრიულ ნიველირებაში ინსტრუმენტების გამოყენება.

მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამა

ელექტრო-აირ შემდუღებელი

პროგრამის სახელწოდება:

ელექტრო-აირ შემდუღებელი.

პროგრამის სახე:

პროფესიული მომზადება;

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში:

13 კვირა;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- სრული ზოგადი განათლება;

პროგრამის მიზნები:

მოამზადოს მსმენელი ელექტრო აირ შედუღების და მჭრელის სპეციალისტად, რომელიც შეიძენს იმ უნარებს, რაც სჭირდება მასალების მოსამზადებლისთვის შესადუღებლად და/ან ასაწყობად მოკლევადიანი პროგრამის მიზანია, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე შემდუღებლების კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით):

- ხელით ელექტრორკალური შედუღების სახეების აღწერა;
- რკალის ანთების ხერხების და ნაკერის შესრულების ტექნიკის გამოყენება;
- შედუღების რეჟიმის და შენადული ნაკერის პარამეტრების განსაზღვრა;
- ძირითადი ლითონის ქიმიური შედგენილობის მიხედვით საშემდუღებლო მასალების შერჩევა;
- შესადუღებელი დეტალების მომზადება და სისქის მიხედვით ნაწიბურების გამოყვანა;
- ერთგავლიანი და მრავალგავლიანი ნაკერების აღწერა;
- აქტიური და ინერტული აირების გარემოში ლითონების შედუღება;
- დამცავ აირებში შედუღებისათვის საშემდუღებლო მოწყობილობის აწყობა;
- დამცავ აირებში შედუღების ტექნოლოგიის აღწერა;
- აირალური შედუღება - ჭრის და პლაზმური ჭრის მოწყობილობის გამოყენება;
- აირალური შედუღების ტექნოლოგიის გამოყენება;
- ჟანგბადით ჭრის და პლაზმური ჭრის ტექნოლოგიის გამოყენება.

მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამა პლასტმასის შემდუღებელი

პროგრამის სახელწოდება:

პლასტმასის შემდუღებელი.

პროგრამის სახე:

პროფესიული მომზადება;

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში:

4 კვირა;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- სრული ზოგადი განათლება;

პროგრამის მიზნები:

პროგრამის მიზანია მომზადდეს კვალიფიციური შემდუღებელი, რომელიც შეასრულებს პოლიეთილენის მილების შედუღების სამუშაოებს, უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის შესრულებას და შეიძენს ისეთ უნარებს, რაც საშუალებას მისცემს მას იყოს კონკურენტუნარიანი როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით):

- პლასტმასების შედუღებისათვის საშემდუღებლო მოწყობილობის გამოყენება;
- პლასტმასების გახურებული იარაღით შედუღება;
- პლასტმასების ულტრაბგერით შედუღება;
- პლასტმასების ხახუნით შედუღება.

მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამა ვაგონების მსინჯველ-შემკეთებელი

პროგრამის სახელწოდება:

ვაგონების მსინჯველ-შემკეთებელი.

პროგრამის სახე:

პროფესიული მომზადება;

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში:

13 კვირა;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- სრული ზოგადი განათლება;

პროგრამის მიზნები:

ვაგონების ხარისხიანი გასინჯვა-შეკეთება სახელმძღვანელო დოკუმენტებისა და პუნქტის მუშაობის ტექნოლოგიური პროცესის შესაბამისად და მატარებელთა უსაფრთხო მოძრაობის, მგზავრთა უსაფრთხო გადაყვანისა და ტვირთის გადაზიდვის უზრუნველყოფის, სახელმძღვანელო დოკუმენტების და მუშაობის ტექნოლოგიური პროცესის მოთხოვნების შესრულების მიზნით.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით):

- ვაგონის ძარის და დამრტყმელ - სანევი მოწყობილობების აღწერა;
- ვაგონის ძარის და დამრტყმელ-სანევი მოწყობილობების შეკეთების სამუშაოების წარმართვა;
- სატვირთო ვაგონის სავალი ნაწილების აღწერა;
